კონსტიტუციური სამართლის ფილოსოფია

Phylosophy of constitushional law

ლეონიდ-ლუკა კაზანჯი

კონსტიტუციური სამართალი არის იურიდიული სისტემა რომელიც გახლავთ არაჩვეულებრივი აზრების სამყარო იგი უმაღლესი იურდიული მოძღვრების ხერხემალია.

Constitushional law is a legal system that is a world of extraordinary thoughts it is back bone of the highest legal doctrines.

ზოგადად, სამართალი გახლავთ საზოგადოების განმავითარებელი აზრობრივი მაკროკოსმოსის მეზოკოსმიური მაკროსოციუმი. იურისპრუდენციის განვითარების ზენიტს წარმოადგენს კონსტიტუციური სამართალი, რომელიც აწესრიგებს სამართლებრივ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებს ერთი შეხედვით, სრულიად განსხვავებულ იდეური მრწამსის ადამიანებს შორის. კონსტიტუცია ლათინური სიტყვაა (LA-CONSTITUTION - ვამტკიცებ) და ნიშნავს „დამტკიცებას". კონსტიტუციური სამართლის განვითარების პროცესს სათავე დაუდო ბერძნულ-ლათინურმა იურიდიულმა ტრადიციამ, ხოლო უშუალოდ უმაღლეს იურიდიულ მოძღვრებად სახელდებული კონსტიტუციონალიზმი იშვა ანგლო-საქსონურ-ფრანკონული პოლიეთნოგენური სამყაროს მიღწევებიდან. კონსტიტუციური სამართლის I ძეგლი გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუცია, რომელმაც ხორცი შეასხა ფრანგი განმანათლებლების - ვოლტერის, რუსოს, მონტესკიეს, დიდროს და ინგლისელი დოგმატიკოსების - ფრენსის ბეკონის, ჯონ ლოკის, ადამ სმიტის იდეებს. მაგ: კაცობრიობის ისტორიაში პირველად სწორედ ამ დოკუმენტში ჩაიწერა სიტყვები „ადამიანს აქვს ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება" - აღნიშნული ანთოპოცენტრული ფორმულირება ილაშქრებდა მაშინდელ მსოფლიოში გაბატონებული მონარქისტული დოგმატიკური შეხედულებების წინააღმდეგ. ამერიკის კონსტიტუციის მისია გახლდათ ევროპეიდული ლიბერალიზმისა და აღმოსავლური სოფიზმის ერთიან სამართლებრივ აბსოლუტად გარდაქმნა, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც. კონსტიტუციური სამართალი გარდაიქმნა ორი განსხვავებული, მაგრამ არსობრივად მძლავრ ურთიერთკავშირში მყოფი სამყაროს - სახელმწიფო მოწყობის სამართლისა და ადამიანის ძირითადი უფლებების კომპარატორულ მატერიალიზატორად.

სახელმწიფო წყობილების არსებობის გარეშე ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული მძლავრი სამართლებრივი სისტემის შექმნა ირეალურია, ხოლო ადამიანის ძირითადად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარეშე სახელმწიფოს მიერ შექმნილ ნორმატიულ ბაზისს ეკარგება მთავარი ფუნქცია - სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა. კონსტიტუციური სამართალი ახორციელებს ადამიანთა უმაღლესი ეგზისტენციალური მისწრაფებების სისტემატიზირებას, რაც აისახება სახელმწიფოს და საბოლოო ჯამში კაცობრიობის

განვითარების მრავალათასწლოვანი პროცესის ტემპის სისწრაფეზე. უპირველესი იურიდიული მონაპოვარი რენესანსის შემდგომ მსოფლიო გონისა გახლდათ - სწორედ, კონსტიტუციონალიზმი, რომელმაც სახელმწიფოს მართვის მონოვალენტური სისტემა მოსახლეობის პოლივალენტური მისწრაფებების განხორციელებაზე ორიენტირებულ რაციონალურ საფუძვლებზე აგებულ დეონტურ უნივერსუმად გარდაქმნა. კონსტიტუციურმა სამართალმა მოახერხა ხალხისა და ხელისუფლების კონდიციონალური შეკავშირება, რაც იქცა სახელმწიფოთა განვითარების მიზნით შექმნილ სამართლებრივ ნორმათა მოქმედების მასტიმულირებელ აზრობრივ ბმათა წარმომქნელ ასოციაციურ კავშირთა ჩამოყალიბების ზეეპოქალურ პროცესად. ჩემი აზრით სხვადასხვა ეთნოსთა კონსტიტუციური აზროვნების სინქრონული შესწავლის პარალელურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზემოთხსენებულ საკითხთა დიაქრონულ ჭრილში კვლევას და ცალკეულ ეთნოკულტურულ კავშირთა თავისებურებების შეცნობას. ჩემი სუბიექტური ხედვით მსოფლიო ერთა ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და ინტენსიური ურთიერთობის პირობებში გლობალურ იურისპრუდენციას საფუძველს უმაგრებს ეთნიკურ ფასეულობათა ორმხრივი ან მრავალმხრივი ინფელტრაციის შედეგად წარმოქმნილ ტრადიციულ კულტურათა იდენტური სოციოკულტურული ღირებულებები ამფონენრსული მთლიანობა. თანამედროვე კონსტიტუციურ სამართალს გააჩნია უმძლავრესი შემოქმედებითი პოტენციალი, რომელსაც საფუძველს უქმნის ფართო ამთვისებლობითი საქმიანობა. ზოგადად კონსტიტუციურ სამართალში ერთმანეთს ოსტატურად ერწყმის ადამიანის ნების ავტონომია და სამართლებრივ ვალდებულებათა დოგმატიკური მთლიანობა. შესაბამისად, კონსტიტუციური სამართლის ფილოსოფიის თანახმად უფლება ვალდებულების გარეშე ქაოსი საწინდარია, ხოლო ვალდებულება უფლების გარეშე დიქტატურას წარმოშობს. კონსტიტუციონალიზმი ადამიანთა, პოლიგენურად მოაზროვნე ინდივიდთა ფსიქოგენური მისწრაფებების დემოკრატიზების შემსწავლელ ფისკალურ ინდიკატორებს ქმნის - ისტორიულ ცვალებადობას დაქვემდებარებული ნორმატიული მართლწესრიგის აუტოპოიეტურ საფუძველთა ჩამოსაყალიბებლად. კონსტიტუციური სამართალი კაცობრიობამ გარდასახა ანთროპოცენტრიზმის რევოლუციურ დოკტრინად და რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს კოსმოცენტრიზმის ახალ კონცეპტუალურ ხედვათა აპოფატიკურ სამყაროდ. კონსტიტუციური სამართლის ფილოსოფია აერთიანებს მსოფლიო ხალხთა ფსიქოგენეტიკურ მისწრაფებებსა და ლოგიკურ ზრახვებს. კონსტიტუციური სამართალი შეისწავლის სამართლის აბსტრაქციულ მოდელირებისა და კაუზალური პროგრესირების პროცესს ისტორიულ-გენეტიკურ, ემპირიულ-ანალიტიკურ და ინსტიტუციონალურ ასპექტებს კონსტიტუციურ სამართალში ადამიანის იურიდიული ნებელობა ინსტიტუციის მუშაობის არსია, ხოლო ინსტიტუცია ადამიანთა ნების განხორციელების კანონისმიერი მექანიზმია. კონსტიტუციური სამართლის ფილოსოფიამ შექმნა ერთგვარი ჰეტურონომიული სამყარო, რომელიც ასრულყოფილებს ადამიანის ნების ავტონომიისა და მოქალაქეობრივი ვალდებულების კორელირებული ექსტრაპოლაციის პროცესს. თავისუფლად

შეიძლება ითქვას! კონსტიტუციონალიზმი ებრძვის იდეურ დონეზე არასამართლებრივი დიქტატის ნებისმიერ გამოვლინების და მეტიც. იგი, ებრძვის იურიდიული მართლშეგნების ამაღლების გზით კაცობრიობის პლურალისტურ საზოგადოებათა დიდ ოჯახად გარდასაქმნელად.

კონსტიტუციური სამართლის ფილოსოფია გახლავთ უტილიტარული დანიშნულების მოძღვრება, რომელიც ადამიანთა ცხოვრების პერიპეტიებს განიხილავს მინისტურ ასპექტში და თავისებს ეპისტემოლოგიურ პრიზმაში. კონსტიტუციური სამართალი იურისპრუდენციის განმავითარებელი გონისმიერი სუბსტანციების გამაერთიანებელი ფენომენოლოგიური სამართლებრივი შეხედულებების სილოგურად პროგრესირებადი სამყარო გახლავთ. ჩემი სუბიექტური შეხედულებით, კოსტიტუციურმა სამართალმა უნდა შესძლოს 21-ე საუკუნეში - ადამიანთა ნების ავტონომიისა და სამოქალაქო თვითშეგნების განმამტკიცებელ იურიდიულ საზრისთა კორელაციაზე დაფუძნებული რევოლუციური იდეური სისტემის შექმნა, რეომელიც გააერთიანებს ემპირიულ ფაქტოლოგიასა და ზეგრძნობად ინტუიტიურ შემეცნებას. კონსტიტუციური სამართალი გახლავთ მეცნიერება, რომელმაც ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დაასრულა ლათინური ფრაზის - “ Homo homilis luperlus est ” - როგორც იურიდიული კლაუზიალური ფორმულირების აზრობრივი დიქტატურა და დასაბამი დაუდო სრულიად ახალ კულტუროტროფულ ღირებულებათა კონიუნქციური განვითარების გასაოცარ ეპოპეას. კონსტიტუციური სამართლის ფილოსოფია გახლავთ ალტრუისტული იურისპრუდენციის კარიბჭე, რომელიც ევროპეიდულმა სამყარომ გააღო და რომელშიც პირველნი ჩვენ ქართველი იურისტები შევალთ. ალტრუიზმი კონსტუციონალიზმის მზრუნველი დედაა, ხოლო კონსტიტუციური სამართალი ყოველი სახელმწიფოს სამართლებრივი ძლიერების უმთავრესი აზრობრივი ქვაკუთხედია.